საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/5894
11/06/2020

5894-2-03-2-202006112030

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ თორნიკე კუჭავას

ბატონო თორნიკე,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2020 წლის 8 ივნისის №01-01-10/1872 წერილი, რომელიც შეეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კახაბრის დასახლებაში, საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი - ფოთი (ასაქცევი) - სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ106-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს 22 მეტრის დაშორებით არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N05.32.06.233) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N05.32.06.233) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“ 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 2 ფურცელი.

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge